

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1007

ქ. ბათუმი, 11 დეკემბერი 2015 წ

**„ქ. ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ტურინვესტი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ივნისის №427 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

„ქ. ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონ-ბათუმი“-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ტურინვესტი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ივნისის №427 ბრძანება ითვალისწინებდა შპს „ტურინვესტი“-სათვის ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №40-ში მდებარე სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემას, რის თაობაზეც მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი ხელშეკრულება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ივნისის №427 ბრძანების გამოცემიდან დღემდე, მხარეთა შორის არ არის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება, რის გამოც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონ-ბათუმი“-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ტურინვესტი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ივნისის №427 ბრძანება.

2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს შპს „ტურინვესტს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 24555554).

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ